EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)

საგრანტო კონკურსი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის - ახალგაზრდებისა და სოფლად მცხოვრები ქალების მხარდასაჭერად

ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის "EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი" (CESL) მიზანია საქართველოს ოთხი რეგიონის (გურია, იმერეთი, კახეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) მოსახლეობის შემოსავლის წყაროების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ამ რეგიონებიდან ადამიანების თბილისში მიგრაციის შემცირებასა და საქართველოს რეგიონებში საცხოვრებლად გადასვლის მოტივაციის ზრდას. აღნიშნულ პროექტს GIZ-ი ეროვნული ინიციატივის სახელად ინტეგრირებული რეგიონული განვითარების საპილოტე პროგრამის ფარგლებში ახორციელებს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან კოორდინაციით.

CESL-ის მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას შემოსავლების გენერირების სტიმულირება წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, პროექტი ცდილობს „ძნელად მისაწვდომი" ჯგუფების ეკონომიკურად გააქტიურების ხელშეწყობას, ამ შემთხვევაში „ძნელად მისაწვდომ" ჯგუფებში იგულისხმება სოფლად მცხოვრები ქალები და ახალგაზრდები (29 წლამდე და 29 წლის ასაკის ადამიანები). ტერმინი „ეკონომიკური გააქტიურება" ეხება ისეთ პირებს, რომლებსაც შემოსავალი საერთოდ არ გააჩნიათ ან მათი შემოსავალი ძალიან დაბალია (და ისიც ძირითადად მოწეული მოსავლისა და სხვადასხვა საქონლის გაყიდვის შედეგად მიიღება). „ძნელად მისაწვდომი" ჯგუფების წევრების ოფიციალურ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობა საკმაოდ დაბალია, ისინი ხშირ შემთხვევაში უმუშევრები არიან, ან ნატურალური სოფლის მეურნეობით არიან დაკავებული; საქონლის ურთიერთგაცვლისას ძირითადად ბარტერი ან ნაღდი ფულით (გაუფორმებელი) ანგარიშსწორება ხდება.

„ძნელად მისაწვდომი" ჯგუფების ეკონომიკური გააქტიურების სტიმულირებისთვის, CESL-ი ამჟამად მცირე ბიზნესებს დაფინანსებას შუამავლების მეშვეობით აწვდის. მოცემულ მომენტში, აღნიშნულ სქემებს ჩოხატაურში არსებული ერთ-ერთი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ახორციელებს (შერჩეულია 9 ბენეფიციარი), ხოლო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აღნიშნული ბენეფიციარების შერჩევის პროცესი ამჟამად მიმდინარეობს. გარდა ამისა, GIZ-მა ორი მსგავსი ინიციატივა 2021-2023 წლებშიც განახორციელა, პირველი ინიციატივა კახეთში (დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, სიღნაღი; 10 ბენეფიციარი), ხოლო მეორე კი ონსა და სენაკში (11 ბენეფიციარი) განხორციელდა. აქამდე მიღწეული შედეგები იმედისმომცემია; მაგალითად, ერთი წლის პერიოდის გავლის შემდეგ კვლავ აქტიური ბიზნესების რაოდენობა ძალიან მაღალი იყო კახეთში, ზოგიერთმა ბენეფიციარმა დამატებითი პერსონალის სამუშაოზე ასაყვანად საკმარისი შემოსავალების გენერირება შეძლო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ყველა ბენეფიციარი სოფლად მცხოვრები ქალები

(და არა ახალგაზრდები) იყვნენ. სამიზნე ჯგუფის ბუნებიდან გამომდინარე („ძნელად მისაწვდომი“ ჯგუფი), პოტენციური ბენეფიციარები როგორც წესი სახელმწიფოს სტანდარტული მხარდაჭერის მიღებას ვერ ახერხებენ ხოლმე,[1] რა თქმა უნდა, ისინი არ განეკუთვნებიან იმ კატეგორიის ბენეფიციარებს, რომლებიც დახმარებას რეგულარულად იღებენ, თუმცა, საშუალოვადიან პერსპექტივაში ჩვენი მიზანია, რომ უკვე „ეკონომიკურად გააქტიურებულმა“ ბენეფიციარებმა შეძლონ თავიანთი განაცხადების აწარმოე საქართველოსთვის (EG), საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთვის (GITA) ან სოფლის განვითარების სააგენტოსთვის (RDA) წარდგენა.

2024/2025 წლებში CESL-ი აპირებს „ძნელად მისაწვდომ“ ჯგუფებზე მიმართული აქტივობების (მის სამიზნე რეგიონებში) გავრცელებას, შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ბაღდათი, ჭიათურა, ხარაგაული, ხონი, ქუთაისი, სამტრედია, თერჯოლა, ტყიბული, წყალტუბო, ვანი და ზესტაფონი (იმერეთი); ახმეტა, გურჯაანი, ყვარელი, საგარეჯო და თელავი (კახეთი); ამბროლაური, ლენტეხი, ცაგერი (რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი). ამ მიზნით, CESL-ი აცხადებს კონკურსს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რომლის ფარგლებშიც მათ უნდა შექმნან და განახორციელონ: პროგრამა 1) , რომელიც მოიცავს კახეთში არსებულ მუნიციპალიტეტებს; პროგრამა 2) , რომელიც იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში არსებულ მუნიციპალიტეტებს მოიცავს. განაცხადის შედგენისას შემდეგი საბაზისო საკითხები უნდა იქნას გათვალისწინებული:

- თითოეული მიმართულებისთვის ცალ-ცალკე განაცხადი უნდა იქნას შემოტანილი (მაგალითად არ შეიძლება ერთი განაცხადის შემოტანა, რომელიც ორივე ზემოთხსენებულ მიმართულებას მოიცავს)
- განაცხადები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამის რეგიონში რეგისტრირებული და მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის[2] მიერ, რომელიც პროექტის ზოგად განხორციელებაზე აიღებს პასუხისმგებლობას. თუ პროგრამა იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს მოიცავს, მაშინ განაცხადი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კონსორციუმმა უნდა შემოიტანოს, რომელშიც მინიმუმ ორი არასამთავრობო ორგანიზაცია იქნება გაერთიანებული (ამ შემთხვევაში წამყვანი პარტნიორი ორგანიზაცია ერთ რეგიონში უნდა მოღვაწეობდეს/იყოს რეგისტრირებული, ხოლო მეორე პარტნიორი კი მეორე რეგიონში), თუმცა კახეთის შემთხვევაში კონსორციუმის მიერ განაცხადის წარდგენა არ არის სავალდებულო. პროგრამის განხორციელებაში სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვა (მაგალითად კონსორციუმის ფარგლებში) მისასალმებელია, თუმცა ამ შემთხვევაში მათ პროგრამას დამატებითი ღირებულება უნდა შესძინონ - მაგალითად ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში მიზნობრივი ჯგუფებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ან ზრდიდნენ იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პოტენციალს, რომლებიც არ არიან

[1] მაგალითად „აწარმოე საქართველოში“-ს (EG), საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) და სოფლის განვითარების სააგენტოს (RDA) მიერ გამოცხადებული კონკურსები. პოტენციურმა ბენეფიციარებმა შესაძლოა არ იცოდნენ ამ მექანიზმების არსებობის შესახებ ან შეიძლება ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ არ შეუძლიათ ამ უწყებებში თავიანთი განაცხადების შეტანა ან მათი წარმატების შანსები მიზერულია.

[2] არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ა(ა)იპ)

დაფუძნებული რეგიონულ ცენტრებში. აპლიკანტებს (იქნება ეს კონსორციუმი თუ ინდივიდუალური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები) უნდა გააჩნდეთ შესაბამისი გამოცდილება გრანტების მართვის კუთხით; კონსორციუმის შემთხვევაში, აღნიშნული შესაძლებლობები და გამოცდილება მთელი კონსორციუმის ფარგლებში შეფასდება (და არა ცალ-ცალკე პარტნიორების მიხედვით).

- თითოეული პროგრამის განხორციელება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2025 წლის 30 ივნისისა.
- საორიენტაციო მიზანს, პირველი პროგრამის ფარგლებში 15 ბენეფიციარის (ქალები და ახალგაზრდები), ხოლო მეორე პროგრამის ფარგლებში კი 42 ბენეფიციარის დაფარვა წარმოადგენს. სოფლად მცხოვრებ ქალებსა და ახალგაზრდებს შორის (ასევე საორიენტაციო) პირობითი პროპორციული გადანაწილება 80%/20%-ია. თუმცა, აპლიკანტებს, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, განსხვავებული მაჩვენებლის წარმოდგენა შეუძლიათ.
- ორივე პროგრამის მიმართულებით, შესაბამისად დაახლოებით 62,500 (პირველი პროგრამა) და 175,000 (მეორე პროგრამა) ევროს გამოყოფა იგეგმება. თუმცა, შესაძლებელია, რომ ეს რიცხვები გაიზარდოს; აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ განმახორციელებელმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა პოტენციური ბენეფიციარების სარეზერვო სიებიც აწარმოონ. პროექტში, ადმინისტრაციულ ხარჯებისთვის საორიენტაციოდ 40% არის განსაზღვრული, თუმცა, აპლიკანტებს საკუთარ განაცხადებში განსხვავებული პროცენტული მაჩვენებლების შემოთავაზება შეუძლიათ, რომელიც შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული.

დაინტერესების შემთხვევაში, განაცხადი ქართულ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი 2023 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით, შემდეგ ელ. ფოსტაზე: euitdcesl@giz.de . განაცხადის ფორმა განსაზღვრული არ არის, რადგან დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შეძლონ: 1) პროექტის შინაარსის შემუშავება; და 2) მისი მკაფიო, ლოგიკური, მოკლე, ზუსტი, სრულყოფილი და დამაჯერებელი ფორმით დამოუკიდებლად წარმოდგენა; რაც კონკრეტული ორგანიზაციის შესაძლებლობების დამადასტურებელ მტკიცებულებად იქნება აღქმული. იმისთვის, რომ შეგექმნათ წარმოდგენა, თუ რა ტიპის ინფორმაციას მოველით განაცხადებში, გთხოვთ იხილოთ დანართი #1. გაითვალისწინეთ, რომ ამ ეტაპზე დეტალური ბიუჯეტის წარმოდგენა არ არის სავალდებულო, თუმცა, განაცხადებში უნდა იყოს ზოგადი ინფორმაცია მითითებული, თუ როგორ განაწილდება ხარჯები ადმინისტრაციულ საქმიანობასა და ბენეფიციარებისთვის გასაწევ მხარდაჭერას შორის.

განაცხადების მიღების შემდეგ მოხდება მათი წინასწარი შეფასება კრიტერიუმებთან შესაბამისობისი კუთხით და მეორე დანართში მოცემული პროგრამების შეფასების საფუძველზე. თუ წარმოდგენილი განაცხადი პირველად ეტაპს გაივლის, აპლიკანტი ორგანიზაციის შესაბამის წარმომადგენლებთან გასაუბრებები ჩატარდება, რომლებიც წესით პირისპირ შეხვედრის ფორმატში უნდა გაიმართოს; ამ გასაუბრებების დროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ და იმ დამატებით კითხვებზე გასცენ პასუხი, რომლებიც CESL-ს შეიძლება ჰქონდეს. გასაუბრების შემდგომ განაცხადებს საბოლოო შეფასებები მიენიჭება და ამის

შემდეგ CESL-ი დაიწყებს სამუშაო პროცესი ყველაზე მაღალი შეფასების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან/კონსორციუმთან. შედეგების შესახებ ყველა აპლიკანტი იქნება ინფორმირებული. სამუშაო პროცესი დასრულდება განახლებული განაცხადით და ბიუჯეტით.; აღნიშნული დოკუმენტები და ასევე კონსორციუმის წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ადმინისტრაციული დოკუმენტები (მაგალითად მისი წესდება) GIZ-ის სათაო ოფისს გადაეგზავნება, რათა მოხდეს საგრანტო ხელშეკრულების მომზადება. ამგვარი საგრანტო ხელშეკრულებების დადება 2024 წლის პირველი კვარტალში არის ნავარაუდევი.

კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ CESL-ის პროექტის კოორდინატორს (gvantsa.khintibidze@giz.de). 2023 წლის 1 დეკემბერს, დაინტერესებული მხარეებისთვის საინფორმაციო სესია გაიმართება; დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ აცნობოთ ზემოთხსენებულ პირს 29 ნოემბრამდე. წარმოდგენილი საგრანტო კონკურსის შესახებ კითხვებზე დასმის შესაძლებლობა იქნება 2023 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით.

დანართი 1 - განაცხადში მოსალოდნელი მონაცემები/ინფორმაცია

ორგანიზაციის გამოცდილება (მაგალითად მთავარი განმახორციელებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის და ნებისმიერი პარტნიორის აღწერა, მათი კავშირი შესაბამის სამიზნე რეგიონთან(ებთან) და იმ წინა ინიციატივების მოკლე აღწერილობა, რომელთა განხორციელებაშიც ისინი იყვნენ ჩართული; ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე პროექტის მოკლე აღწერა, რითაც თემის და ტერიტორიის - მაგალითად ინსტიტუციების და სოფლად მცხოვრები ქალებისთვის/ახალგაზრდებისთვის დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ აუცილებელი ცოდნის დემონსტრირება მოხდება)
რეგიონის დაფარვასთან დაკავშირებით შემოთავაზებული მიდგომა (ფოკუსირება კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში - თუ კი, მაშინ ახსენით რატომ, ან ერთიანი დაფარვა - ამ შემთხვევაშიც ახსნილი უნდა იყოს რატომ; ხდება თუ არა სოფლად მცხოვრებ ქალთა და ახალგაზრდებს შორის რაიმე სახის დიფერენცირება)
იმის განმარტება თუ: • ვინ ითვლება **„სოფლად მცხოვრებ ქალად“-** ახსნა-განმარტებაც უნდა იქნას წარმოდგენილი (მაგალითად ითვლებიან თუ არა მუნიციპალური ცენტრის მაცხოვრებელი ქალები „სოფლად მცხოვრებ ქალებად“?) • ვინ ითვლება **„ახალგაზრდად“**-ახსნა-განმარტებაც უნდა იქნას წარმოდგენილი (მაგალითად შესაძლოა უფრო ლოგიკური იყოს, რომ ამ შემთხვევაში „ახალგაზრდებში“ მოიაზრებოდნენ მხოლოდ ურბანული ტიპის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები) როგორ უნდა მოხდეს „სოფლად მცხოვრები ქალი“ და „ახალგაზრდა“ (პოტენციური) ბენეფიციარების ერთმანეთისგან დიფერენცირება (პოტენციური) ბენეფიციარი ერთდროულად „სოფლად მცხოვრებ ქალად“ და „ახალგაზრდად“ არ უნდა მოიაზრებოდეს.
(პოტენციური) ბენეფიციარების იდენტიფიცირება/ბენეფიციარების შერჩევა (მთლიანი შერჩევის პროცესის აღწერილობა, რომლის დროს სასურველია, რომ მოხდეს ისეთი პირების შერჩევა, რომლებიც იქნებიან ინიციატივებიანები, ექნებათ კომერციულად სიცოცხლისუნარიანი იდეები და ორგანიზების უნარი - თან ამავე დროს ეს ადამიანები არ უნდა იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც მუდმივად იმარჯვებენ მსგავს საგრანტო კონკურსებში; რამდენი ეტაპისგან შედგება შერჩევის პროცესი და არის თუ არა ბიზნეს გეგმების შემუშავებაში ერთზე მეტი პირი ჩართული; იდენტიფიცირების/შერჩევის კრიტერიუმები; სარეზერვო სიის წარმოება). ამ დროს ჩვეულებრივი პროექტებისგან (მაგალითად თაფლის, ჯემების წარმოება და ა.შ.) განსხვავებული პროექტების დაფინანსებაზე დაფიქრებაც მისასალმებელია.
განმახორციელებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისგან შერჩეული ბენეფიციარებისთვის დახმარების მიწოდების **მექანიზმი** (მაგალითად საგრანტო კონტრაქტი, რომლის ფარგლებშიც შესყიდვებზე ბენეფიციარები იღებენ პასუხისმგებლობას, ან შესყიდვებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ახორციელებს და შემდეგ შესყიდულ საქონელს გადასცემს ბენეფიციარს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რა ტიპის სავალდებულო ხელშეკრულება იქნება დადებული ბენეფიციარებთან?)

ბენეფიციარების დახმარება მათი ბიზნეს იდეის განხორციელებისას (მაგალითად რა ტიპის მხარდაჭერა ხდება, ვის მიერ; ისეთი სოფლად მცხოვრები ქალების/ახალგაზრდების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებმაც მსგავს პროექტებში ადრე წარმატებით მიიღეს მონაწილეობა - მათი გამოცდილების გაზიარება; ისეთი პირების/ორგანიზაციების გამოყენება, რომლებსაც არსებულ ღირებულებათა ჯაჭვებში საქონლის შეტანის პირდაპირი გამოცდილება გაჩნიათ - მაგალითად სუპერმარკეტები)
მართვასთან და მონიტორინგთან დაკავშირებული აქტივობები (მაგალითად ბენეფიციარებთან დადებული კონტრაქტები, შესყიდვები, მფლობელობის გადაცემა, ანგარიშსწორება, ბუღალტერია, აუდიტები)
ბენეფიციარების გადამზადება (მაგალითად არსებულ ეროვნულ მხარდამჭერ პროგრამებში განაცხადების შეტანასთან დაკავშირებით დახმარების გაწევა)
მიღებული გაკვეთილების სიის შედგენა და მისი დაინტერესებული მხარეებისთვის გადაცემა
განმახორციელებელი კონსორციუმის მუშაობის მეთოდები (მაგალითად იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებები პარტნიორობის შესახებ, წამყვანი ორგანიზაციის მიერ ფულადი სახსრების პარტნიორებისთვის გადაცემა)
პროექტის გუნდი (კონკრეტულად ვინ რას აკეთებს, მოკლე დასაბუთება თუ რატომ არის ესა თუ ის პირი კომპეტენტური კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისთვის)
ბიუჯეტის სავარაუდო მონახაზი (მაგალითად ბიუჯეტის რა პროცენტული წილი იქნება მიმართული ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვაზე (მათ შორის ბენეფიციარებისთვის მიწოდებული არა-ფინანსური სახის მხარდაჭერაზე (მაგალითად რჩევები)) და ბიუჯეტის რა პროცენტული წილი იქნება მიმართული პირდაპირ ბენეფიციარების მხარდასაჭერად)
კოორდინაცია/კავშირები შესაბამის ორგანიზაციებთან ნაციონალურ/რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე (მაგალითად მიკრო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში მოქმედებენ და რომლებიც უკვე კარგად იცნობენ ამ თემში მცხოვრებ პირებს, სოფლად მცხოვრებ ქალებზე და/ან ახალგაზრდებზე ორიენტირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ადგილობრივი ჯგუფები, ახალგაზრდობის სააგენტო და ახალგაზრდული მუშაკები, დონორების მიერ დაფინანსებული სხვა ინიციატივები)
პროგრამის დონეზე განხორციელებული მონიტორინგი (მაგალითად ინდიკატორები - მიზნობრივი ბენეფიციარების რაოდენობა, ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებმაც განაცხადები შეიტანეს „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში და/ან სოფლის განვითარების სააგენტოში; როგორ, საიდან, რა სიხშირით და ვის მიერ ხდება ინფორმაციის შეგროვება)
ინდივიდუალური ბენეფიციარების დონეზე განხორციელებული მონიტორინგი (მაგალითად რამდენად ხშირად და რა სახის ინფორმაცია იქნა მოთხოვნილი ბენეფიციარებისგან - მაგალითად ინფორმაცია მათი ბრუნვის/მოგების შესახებ)
მართვის/ანგარიშგების მექანიზმი (რამდენად ხშირად უნდა გაიმართოს შეხვედრები CESL-თან, ანგარიშების შინაარსი)

დანართი 2 - შეფასების კრიტერიუმები და ქულების მინიჭების სქემა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია განაცხადების შეფასების კრიტერიუმები და ასევე ქულების მინიჭების სქემა. თითოეულ განაცხადს 0-დან 10-მდე ქულა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ენიჭება[3]. 6 შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად საჭირო „მინიმალურ“ ქულად ითვლება. ამის შემდეგ ხდება თითოეული ქულის გამრავლება შესაბამისი კრიტერიუმის წონის მიხედვით, რის შედეგადაც მაქსიმალური ქულის გამოთვლა მოხდება (თუმცა ეს მაქსიმალური ქულა 1,000-ზე მეტი ვერ იქნება).

კრიტერიუმი	**ქულების დიაპაზონი**	**გამსვლელი ქულა**	**წონა**	**წონაზე გამრავლების შემდეგ მიღებული ქულა**
განაცხადის შესაბამისობა პროექტის ამოცანებსა და მოთხოვნებთან	0-დან 10-მდე	6	30	180
განხორციელებადობა	0-დან 10-მდე	6	35	210
განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციის შესაძლებლობები	0-დან 10-მდე	6	35	210
სულ				**600**

მეტი სიცხადისთვის, ქვედა ცხრილში მოცემულია თითოეული კრიტერიუმი, რომელსაც შესაბამისი ძირითადი კითხვები მოჰყვება.

კრიტერიუმი	**ძირითადი კითხვები**
რამდენად შეესაბამება განაცხადი CESL-ის მიერ განსაზღვრულ ამოცანებსა და მოთხოვნებს	• არის თუ არა განაცხადში CESL-ის მიერ გამოცხადებული პირობები და ინფორმაცია ადეკვატურად გათვალისწინებული? • თუ ამ პირობებთან/ინფორმაციასთან შეუსაბამობები/გადახვევები ფიქსირდება (მათ შორის კონკრეტული ნაბიჯების სხვაგვარად გადადგმასთან დაკავშირებული წინადადებები), არის თუ არა ეს ყველაფერი შესაბამისად ახსნილი? გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზემოთ მოცემული ტექსტის გადამეორება არ არის სასურველი. CESL-ს ისეთი განაცხადების მიღება სურს, რომლებშიც ორგანიზაციებისგან საინტერესო იდეები იქნება წარმოდგენილი. ამასთან ერთად, CESL-ის იდეების თაობაზე კრიტიკული შენიშვნები და

[3] 0-დან 1.9-მდე – ძალიან ცუდი, 2-დან 3.9-მდე – ცუდი, 4-დან 5.9-მდე – არადამაკმაყოფილებელი; 6 – დამაკმაყოფილებელი; 6.1-დან 7.9-მდე – კარგი, 8-დან 10-მდე – შესანიშნავი

კრიტერიუმი	ძირითადი კითხვები
	შესაბამისი გადაწყვეტის გზები მისასალმებელია და ისინი დადებით შეფასებას/ქულებს მიიღებენ.
განხორციელებადობა	• განაცხადში შემოთავაზებული მიდგომა დამაჯერებელია - ანუ შემოთავაზებული საქმიანობის კონკრეტულ დროის მონაკვეთში და მოცემული ბიუჯეტის პირობებში (და ასევე განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და გამოყოფილი გუნდის გათვალისწინებით) განხორციელება შესაძლებელი ჩანს
განმახორციელებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის(ების) შესაძლებლობები	• განმახორციელებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია(ები) კარგად/შესაბამისად იცნობს შესაბამის რეგიონს(ებს) • განმახორციელებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია(ები) კარგად/შესაბამისად იცნობენ შესაბამის თემებს (სოფლად მცხოვრები ქალების და ახალგაზრდების მიერ შემოსავლების გენერირება) • მსგავს პროექტებში (რომლებშიც მსგავსი სამუშაოების ჩატარება იყო საჭირო) მონაწილეობის დამტკიცებადი გამოცდილება, მათ შორის ანგარიშების ინგლისურ ენაზე წარმოდგენის გამოცდილება • პროექტის ხარისხი და განაცხადის ხარისხი განმახორციელებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ადეკვატურ პოტენციალზე მეტყველებს